

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2016 წლის განკარგულებები

საძიებელი

N	განკარგულების სარეგისტრაციო ნომერი	განკარგულების მიღების თარიღი	განკარგულების სათაური	გვერდი
1.	N1	15.01.2016	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ	7
2.	N2	20.01.2016	„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	8
3.	N3	28.01.2016	„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	9
4.	N4	28.01.2016	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ	13
5.	N5	28.01.2016	შოთა სირაძის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ	15
6.	N6	28.01.2016	საკრებულოს წევრის შოთა სირაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ	16
7.	N7	28.01.2016	დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ	17
8.	N8	28.01.2016	ლაშა ცატავას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ	18
9.	N9	28.01.2016	„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	19
10.	N10	28.01.2016	„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 სექტემბრის N69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	20
11.	N11	28.01.2016	„საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	21
12.	N12	28.01.2016	ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზებული მოძრავი ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ	23
13.	N13	28.01.2016	„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 მარტის N61 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ	24

14.	N14	28.01.2016	ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ	25
15.	N15	28.01.2016	ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ	29
16.	N16	28.01.2016	ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ	31
17.	N17	28.01.2016	ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ	36
18.	N18	28.01.2016	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 23 აგვისტოს N54 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	40
19.	N19	29.02.2016	ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე	41
20.	N20	29.02.2016	ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე	61
21.	N21	29.02.2016	ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ	69
22.	N22	29.02.2016	„ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული მოძრავი ქონების ჩამოწრაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 იანვრის №12 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ	75
23.	N23	29.02.2016	„საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	77
24.	N24	29.02.2016	„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	79
25.	N25	29.02.2016	„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	80
26.	N26	07.03.2016	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ	81
27.	N27	07.03.2016	ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუხსვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ	84
28.	N28	30.03.2016	ქალაქ ხობში ცენტრალური სტადიონისთვის პაატა თათარიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე	86
29.	N29	30.03.2016	ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ	87
30.	N30	30.03.2016	ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების სოფელ ყულევის №66.17ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2016 წლის 22 მაისს გასამართ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ	88

31.	N31	30.03.2016	„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	90
32.	N32	30.03.2016	„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	94
33.	N33	30.05.2016	ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ	95
34.	N34	30.05.2016	ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწრაზე თანხმობის მიცემის შესახებ	96
35.	N35	30.05.2016	ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ	98
36.	N36	30.05.2016	ხობის მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფციის დამტკიცების შესახებ	101
37.	N37	17.06.2016	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კობა კაკულას უფლებამოსილების ცნობის შესახებ	115
38.	N38	17.06.2016	ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ	116
39.	N39	30.06.2016	ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ	118
40.	N40	30.06.2016	ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ	122
41.	N41	08.07.2016	„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 სექტემბრის N69 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ	124
42.	N42	08.07.2016	„საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	125
43.	N43	08.07.2016	„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	127
44.	N44	08.07.2016	„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	128
45.	N45	05.08.2016	ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ	129
46.	N46	05.08.2016	„საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	133
47.	N47	05.08.2016	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	135

48.	N48	05.08.2016	„ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის N38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	136
49.	N49	28.09.2016	ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუხვებისეული) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ	137
50.	N50	28.09.2016	ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ	139
51.	N51	28.09.2016	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 აგვისტოს N47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ	141
52.	N52	27.10.2016	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ	142
53.	N53	22.11.2016	„ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ რეგისტრაციის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	144
54.	N54	22.11.2016	ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ	145
55.	N55	22.11.2016	ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ	148
56.	N56	22.11.2016	„ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 იანვრის N16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ	152
57.	N57	22.11.2016	„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	154
58.	N58	22.11.2016	„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	155
59.	N59	09.12.2016	ფრაქცია „სამართლიანობისათვის“ რეგისტრაციის შესახებ	159
60.	N60	09.12.2016	„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის №26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	160
61.	N61	09.12.2016	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ხობის მოამბეს“ ლიკვიდაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ	163
62.	N62	09.12.2016	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ	164
63.	N63	28.12.2016	„საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	165

64.	N64	28.12.2016	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ	166
65.	N65	28.12.2016	ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ	167
66.	N66	28.12.2016	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ	171
67.	N67	28.12.2016	ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ	172
68.	N68	28.12.2016	ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ	178
69.	N69	28.12.2016	„ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 ნოემბრის №55 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	181
70.	N70	28.12.2016	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ რეორგანიზაციაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 დეკემბრის N62 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	185



**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N1
2016 წლის 15 იანვარი
ქ. ხობი**

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადები:

ა) ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში და ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭითაუშკურში წყალსადენის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით;

ბ) ხობის №1 და №2 საბავშვო ბაღების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით;

გ) კულტურულ საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით;

დ) ქ. ხობში ქუჩების კეთილმოწყობის (მოასფალტების) სამუშაოებთან დაკავშირებით;

ე) ხობის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის აღდგენასთან დაკავშირებით.

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში ჩამოთვლილ სამუშაოებთან დაკავშირებული, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაცია წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

3. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას ამ განკარგულების მეორე პუნქტის უზრუნველყოფა.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).



**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N2
2016 წლის 20 იანვარი
ქ. ხობი**

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2016 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 იანვრის №1 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თანადაფინანსება, პროექტის ღირებულების 5%-ის ოდენობით განხორციელდეს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.“;

ბ) განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას:

ა) ამ განკარგულების პირველ პუნქტში ჩამოთვლილ სამუშაოებთან დაკავშირებული, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაციის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარდგენა;

ბ) ამ განკარგულების 1¹ პუნქტით განსაზღვრული თანხების ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით, ბიუჯეტში შესატან ცვლილებათა პროექტის მომზადება და საკრებულოში დასამტკიცებლად წარმოდგენა.“.

გ) განკარგულების მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N3
2016 წლის 28 იანვარი
ქ. ხობი**

„ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №52 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2014 წლის 28 ივლისის №52 განკარგულებისა

ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა

№	თანამდებობათა დასახელება	საშტატო რიცხოვნება
გამგეობის ხელმძღვანელი პირები		
1	გამგებელი	1
2	გამგებლის პირველი მოადგილე	1
3	გამგებლის მოადგილე	1
სულ		3
1	გამგებლის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში	22
გამგეობის სტრუქტურული ერთეულები		
ადმინისტრაციული სამსახური		
1	სამსახურის უფროსი	1
2	გამგებლის თანაშემწე	1
საქმისწარმოების განყოფილება		

3	განყოფილების უფროსი	1
4	მთავარი სპეციალისტი	2
5	დამხმარე მოსამსახურე	1
საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება		
6	განყოფილების უფროსი	1
7	მთავარი სპეციალისტი	3
8	წამყვანი სპეციალისტი	1
9	დამხმარე მოსამსახურე	6
საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება		
10	განყოფილების უფროსი	1
11	მთავარი სპეციალისტი	2
12	წამყვანი სპეციალისტი	2
13	სპეციალისტი	31
სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება		
14	განყოფილების უფროსი	1
15	მთავარი სპეციალისტი	1
16	წამყვანი სპეციალისტი	1
სულ		55
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
1	სამსახურის უფროსი	1
საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება		
2	განყოფილების უფროსი	1
3	მთავარი სპეციალისტი	1
4	წამყვანი სპეციალისტი	1
საფინანსო ზედამხედველობისა და ბუღალტერიის განყოფილება		
5	განყოფილების უფროსი	1
6	მთავარი სპეციალისტი	1
7	წამყვანი სპეციალისტი	1
შესყიდვების განყოფილება		
8	განყოფილების უფროსი	1
9	მთავარი სპეციალისტი	1
10	წამყვანი სპეციალისტი	1
სულ		10
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური		
1	სამსახურის უფროსი	1
მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, ტრანსპორტის რეგულირებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილება		

2	განყოფილების უფროსი	1
3	მთავარი სპეციალისტი	1
4	წამყვანი სპეციალისტი	2
სოფლის მეურნეობისა და სტატისტიკური აღრიცხვის განყოფილება		
5	განყოფილების უფროსი	1
6	მთავარი სპეციალისტი	1
7	წამყვანი სპეციალისტი	1
სულ		8
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური		
1	სამსახურის უფროსი	1
ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილება		
2	განყოფილების უფროსი	1
3	მთავარი სპეციალისტი	1
4	წამყვანი სპეციალისტი	2
ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის განყოფილება		
5	განყოფილების უფროსი	1
6	მთავარი სპეციალისტი	1
7	წამყვანი სპეციალისტი	1
8	უფროსი სპეციალისტი	1
ზედამხედველობის განყოფილება		
9	განყოფილების უფროსი	1
10	მთავარი სპეციალისტი	1
11	წამყვანი სპეციალისტი	2
სულ		13
კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
1	სამსახურის უფროსი	1
2	მთავარი სპეციალისტი	2
3	წამყვანი სპეციალისტი	1
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება		
4	განყოფილების უფროსი	1
5	მთავარი სპეციალისტი	1
6	წამყვანი სპეციალისტი	1
სულ		7
შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური		
1	სამსახურის უფროსი	1
2	მთავარი სპეციალისტი	1

3	წამყვანი სპეციალისტი	1
ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების განყოფილება		
4	განყოფილების უფროსი	1
5	მთავარი სპეციალისტი	1
სულ		5
წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური		
1	სამსახურის უფროსი	1
2	მთავარი სპეციალისტი	3
3	წამყვანი სპეციალისტი	2
4	უფროსი სპეციალისტი	2
სულ		8
შიდა აუდიტის სამსახური		
1	სამსახურის უფროსი	1
2	მთავარი სპეციალისტი	1
3	წამყვანი სპეციალისტი	1
4	უფროსი სპეციალისტი	1
სულ		4“

2. განკარგულება ამოქმედდეს 2016 წლის 1 მარტიდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N4
2016 წლის 28 იანვარი**

**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის სამუშაო გეგმის
დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის N7 დადგენილების თანახმად:

1. დამტკიცდეს ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის სამუშაო გეგმა თანახმად დანართისა.
2. დაევალოს ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებს და ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობას განსახილველი საკითხების მომზადება სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიას (ნ. შუშანია).
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3)

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა

დანართი
 ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 2016 წლის 28 იანვრის N4 განკარგულებისა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის სამუშაო გეგმა

N	მოსამზადებელი და განსახილველი საკითხის დასახელება	განხილვის ვადა	პასუხისმგებელი საკითხის მომზადებაზე	პასუხისმგებელი შესრულებაზე
1.	2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენა	I კვარტალი	ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა	საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისია
2.	გამგეობის სამსახურების მიერ 2015 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა	I კვარტალი	ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა	საკრებულოს შესაბამისი კომისია
3.	გამგეობის სამსახურების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა	ყოველ კვარტალურად	ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა	საკრებულოს შესაბამისი კომისია
4.	გამგეობის მიერ 2015 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა	I კვარტალი	ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა	საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია
5.	საკრებულოს კომისიების მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა	I კვარტალი	საკრებულოს შესაბამისი კომისია	საკრებულოს შესაბამისი კომისია
6.	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენა	I კვარტალი	ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა	საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია
7.	საკრებულოს მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა	II კვარტალი	საკრებულოს თავმჯდომარე	საკრებულოს თავმჯდომარე
8.	ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის განხილვა	III კვარტალი	ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა	საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისია
9.	გამგეობის მიერ 2016 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა	III კვარტალი	ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა	საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია
10.	ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება	IV კვარტალი	ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა	საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისია
11.	ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის განხილვა და დამტკიცება	პერიოდულად	ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა	საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისია

12.	სხვა მიმდინარე და ინიცირების წესით შემოსული საკითხების განხილვა	სისტემატურად დადგენილ ვადებში		საკრებულოს შესაბამისი კომისია
-----	---	-------------------------------	--	-------------------------------



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N5
2016 წლის 28 იანვარი
ქ. ხობი**

**შოთა სირაძის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და
ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან
განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 42-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის შ. სირაძის 2016 წლის 5 იანვრის N2/08 განცხადების შესაბამისად:

1. შოთა სირაძე 2016 წლის 6 იანვრიდან განთავისუფლდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან მისი საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობაზე არჩევის გამო.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ფოთის საქალაქო სასამართლოში. (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3)

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N6
2016 წლის 28 იანვარი
ქ. ხობი**

**საკრებულოს წევრის შოთა სირაძის უფლებამოსილების
ვადამდე შეწყვეტის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს შოთა სირაძეს 2016 წლის 6 იანვრიდან ვადამდე შეუწყდეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, მისი საკრებულოს წევრის სტატუსისთვის შეუთავსებელ თანამდებობაზე არჩევის გამო.
2. „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 9 მარტის N15/2012 დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, ეცნობოს N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიას საკრებულოს წევრის შოთა სირაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (ქ. ფოთი დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N7
2016 წლის 28 იანვარი
ქ. ხობი**

**დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების
შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით ფარული კენჭისყრის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას დროებითი ხმის დამთვლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ტარიელ ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე - დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე;

2. როსტევეან გვარამია - ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარე - დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

3. დოდო გაბუნია - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის მდივანი.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიმერ ჯობავა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N8
2016 წლის 28 იანვარი
ქ. ხობი**

**ლაშა ცატავას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და
ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის და 37-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს ლაშა ცატავა.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3)

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N9
2016 წლის 28 იანვარი
ქ. ხობი**

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N48 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ლაშა ცატავა
2. როსტევეან გვარამია
3. როლანდ სერგია
4. ვასილ კუკავა
5. ქეთევან ოდიშარია
6. მერაბ ფილიპია.“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N10
2016 წლის 28 იანვარი
ქ. ხობი**

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 სექტემბრის N69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 სექტემბრის N69 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

როსტევეან გვარამია - საკრებულოს ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარე - კომისიის თავმჯდომარე;

ლაშა ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გოჩა სიჭინავა - საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - კომისიის წევრი;

ლამზირა თოდუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ეკა ტიბუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

გოჩა შანავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის სოფლის მეურნეობისა და სტატისტიკური აღრიცხვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

სევერიან ბუკია - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი.“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიმერ ჯობავა



**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N11
2016 წლის 28 იანვარი
ქ. ხობი**

**„საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №2
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებისა

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის განსაზღვრული საწვავის ხარჯების ლიმიტი

N	მხარჯავი სუბიექტების დასახელება	ლიმიტი თვეში (ლიტრი)		ლიმიტი წელიწადში (ლიტრი)	
		ბენზინი	დიზელი	ბენზინი	დიზელი
1.	გამგებელი	1000	-	12000	-
2.	გამგებლის პირველი მოადგილე	-	300	-	3600
3.	გამგებლის მოადგილე	300	-	3600	-
4.	გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური	200	-	2400	-
5.	გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური	400	-	4800	-
6.	გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახური	150	-	1800	-
7.	გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	50	-	600	-
8.	გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური	50	-	600	-
9.	გამგეობის შიდა აუდიტისა და	150	-	1800	-

	კონტროლის სამსახური				
10.	გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური	-	390	-	4680
11.	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი	-	150	-	1800
12.	გამგებლის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში	50	-	600	-
13.	ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობა (საზოგადოებრივი ცენტრის ელექტრომომარაგება დიზელის გენერატორით)	-	45	-	540“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N12
2016 წლის 28 იანვარი
ქ. ხობი**

**ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული ამორტიზებული მოძრავი ქონების ჩამოწერაზე თანხმობის
მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზირებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 25 ივნისის N123 დადგენილების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ამორტიზებული ქონების (ტრაქტორი „ბულდოზერი-დზ-42“ ექსპლოატაციაში შესვლის წელი 1990) ჩამოწერაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N13
2016 წლის 28 იანვარი
ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 მარტის N61 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 მარტის N61 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულების დანართიდან ამოღებულ იქნეს მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12 პუნქტები.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N14

2016 წლის 28 იანვარი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტისა და „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანახმად დანართისა.

2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აუქციონის ფორმით იჯარით გაცემა.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

ედიშერ ჯობავა

საკრებულოს

თავმჯდომარე

დანართი
 ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 2016 წლის 28 იანვრის N14 განკარგულებისა

ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება

N	შენობის დასახელება	მისამართი	სართული	ოთახის ფართი კვ.მ	სარგებლობის ფორმა	საბაზრო ღირებულება (ლარი)	საიჯარო ქირა წელიწადში 30%	საიჯარო ქირა (სამ თვე)	„ბიჯი“ 10%	„ბე“ 10%
1.	ადმინისტრაციული შენობა	ქ. ხობი ცოტნე დადიანის N185	IV	30.68	იჯარა	2055,56	616	51	5,1	5,1
				19.25		1289,75	387	32	3,2	3,2
				18.9		1266,30	381	32,0	3,2	3,2
				18.9		1266,30	381	32,0	3	3
				9.1		609,70	183	15	1,50	1,5
				6.6		442,20	132	11	1,10	1,10



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N15

2016 წლის 28 იანვარი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხა თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა

ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო
ქონების ნუსხა

	ქონების დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	სახელმწიფო ნომერი	საბალანსო ღირებულება (ლარი)	სავარაუდო წონა (კგ)	ნარჩენი ღირებულება (ლარი)	აუდიტორული შეფასება	„ბიჯი“ 10%	„ბე“ 10%
1	შავი ლითონის ჯართი	--	--	4201	4630	--	695	69,50	69,50
2	ავტომანქანა „ზილ 131“	1988	X -496	1890	--	--	1200	120	120
3	ავტომანქანა „გაზ- 53,,	1989	X -436	1672	--	--	500	50	50
4	ტრაქტორი „დზ 42“	1990	--	1941	6500	--	975	97,5	97,5



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N16

2016 წლის 28 იანვარი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს „ხოზის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამა“ თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე, ვრცელდება 2016 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა

ხოზის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის რეგულირების სფერო, განსახორციელებელი საქმიანობა და მიზანი

1. პროგრამის რეგულირების სფეროა ხოზის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.
2. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობა მოიცავს ხოზის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან ხოზის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის მდგომარეობის შესწავლას და სათანადო ფინანსური დახმარების გაწევას.
3. პროგრამის მიზანია ხოზის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა.

მუხლი 2. პროგრამით მოსარგებლე პირთა წრე

პროგრამით მოსარგებლე პირთა წრეს მიეკუთვნებიან:

- ა) მარტოხელა პენსიონერები;
- ბ) იძულებით გადაადგილებული პირები;
- გ) ომის ვეტერანები;
- დ) არასრულწლოვანი ობლები;
- ე) მრავალშვილიანი ოჯახები;
- ვ) ავადმყოფები;
- ზ) უმუშევრები;
- თ) ეკონომიკურად შეჭირვებული და სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეები;
- ი) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც სტიქიის შედეგად საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას;
- კ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალშობილთა ოჯახები;
- ლ) 100 და 100 წელს ზემოთ ასაკის მოქალაქეები;
- მ) დიალიზზე მყოფი მოქალაქეები;
- ნ) ჩერნობილის ტრაგედიის დროს დაზარალებულები;
- ო) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
- პ) უსახლკაროები, რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს;
- ჟ) „C“ ჰეპატიტით დაავადებული პირები;
- რ) სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია.

მუხლი 3. პროგრამის მოქმედების ვადა, მისი დაწყების და დასრულების დრო

პროგრამა მოქმედებს 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. გასაცემლის პერიოდულობა

პროგრამით განსაზღვრული გასაცემლები შეიძლება გაიცეს პროგრამის მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე, შემოსული განცხადებებისა და წინადადებების შესაბამისად, გარდა მე-13 მუხლით კონკრეტული თარიღისთვის განსაზღვრული ერთჯერადი გასაცემლებისა.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 389200 ლარს და ფინანსდება ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მუხლი 6. პროგრამის ადმინისტრაციული წარმოების სახე

პროგრამის განხორციელების ფარგლებში ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების წესებით.

მუხლი 7. პროგრამის ადმინისტრირების, მისი მართვის, ზედამხედველობის, ინსპექტირებისა და კონტროლის წესები და პირობები

1. პროგრამის ადმინისტრირებას, მართვას, ზედამხედველობას და ინსპექტირებას ახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური.

2. კონტროლის წესები და პირობები რეგულირდება ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის დებულებით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ხობის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების განხორციელების წესით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 8. გადაწყვეტილების მომზადებასა და მიღებაზე უფლებამოსილი პირები

1. პროგრამის ფარგლებში გადაწყვეტილების პროექტს ამზადებს:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური - იმ პროგრამების რეალიზებისთვის, რომელთა ბენეფიციარები წინასწარ არის დადგენილი წლის ან წლის გარკვეული ან/და კონკრეტული პერიოდისთვის;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილი სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისია - იმ პროგრამების რეალიზებისთვის, რომელთა ბენეფიციარების დადგენა მოითხოვს შერჩევას, შემოწმებას, შეფასებას და კოლეგიური გადაწყვეტილების მიღებას.

2. პროგრამის ფარგლებში გადაწყვეტილებას იღებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი, რისთვისაც გამოიცემა გამგებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ბრძანება.

მუხლი 9. პროგრამით სარგებლობისათვის წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტები

1. პროგრამით სარგებლობისათვის სავალდებულოა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საბანკო ანგარიშის ნომერი (ფულადი დახმარების შემთხვევაში);

დ) კონკრეტული ფაქტის გამო დახმარების გაწევის შემთხვევაში, ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის წერილობითი დოკუმენტი (დასახმარებელი სუბიექტის სოციალური მდგომარეობის დასაბუთებით).

ვ) საოპერაციო ხარჯების ანაზღაურების შემთხვევაში - ფორმა №100 (ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ), ანგარიშფაქტურა და კალკულაცია.

2. პროგრამით სარგებლობისათვის წარსადგენ დამატებით დოკუმენტთა ნუსხა კონკრეტული პროგრამისთვის (გასაცემლისთვის) განისაზღვრება ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ხობის

მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების განხორციელების წესით.

მუხლი 10. სოციალური პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა

პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მინიმალური ოდენობა განისაზღვრება 60 (სამოცი) ლარით, ხოლო მაქსიმალური - 3000 (სამი ათასი) ლარით.

მუხლი 11. ადმინისტრირებისთვის საჭირო სხვა პირობები

სოციალური დახმარების თაობაზე განაცხადი მიიღება როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმით.

მუხლი 12. ფინანსური დახმარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების წესი და მონაწილე მხარეები

ფინანსური დახმარება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით და აღსრულდება დასახმარებელი სუბიექტის საბანკო ანგარიშზე ან ამ სუბიექტის მომსახურე შესაბამისი იურიდიული პირის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით. მონაწილე მხარეებს წარმოადგენენ დასახმარებელი სუბიექტი და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

მუხლი 13. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა

№	პროგრამის დასახელება	პროგრამის ბიუჯეტი (ლარი)	პროგრამის მოქმედების ვადა	პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	პროგრამის ღირებულება თითოეულ სუბიექტზე (ლარი)
1.	უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარების ერთჯერადი კვება და მომსახურება	80000	01.01.2016-31.12.2016	120	
2.	სადღესასწაულო დღეებში:	13650			
	მრავალშვილიანთა დახმარება	12000	01.01.2016 - 31.12.2016	80	150
	არასრულწლოვან ობოლთა დახმარება	750	01.01.2016 - 31.12.2016	5	150
	100 წლის და 100 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეთა დახმარება	900	01.01.2016-31.12.2016	6	150
3.	დახმარება ახალშობილთა ოჯახებისთვის	49000	01.01.2016 - 31.12.2016	350	პირველ და მეორე ბავშვზე - 100; მესამესა და ყოველ შემდგომზე - 300
4.	სიდატაკის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებზე წყლის ხარჯის ანაზღაურება	6000	01.01.2016 - 31.12.2016	100 ოჯახი	1,77
5.	ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	30000	01.01.2016 - 31.12.2016		300-დან 3000-მდე
6.	ერთჯერადი ფულადი დახმარება ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეებისთვის	55000	01.01.2016 - 31.12.2016		60-დან 200-მდე
7.	საოპერაციო და ქიმიოთერაპიული მკურნალობის ხარჯების	50000	01.01.2016 - 31.12.2016	30-40	წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის

	დაფინანსება პაციენტის მიერ გადასახდელი თანხიდან (500 ლარი და ზემოთ)				20-50% - არაუმეტეს 2000 ლარისა
8.	დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	18000	01.01.2016-31.12.2016	15	100
9.	დევნილის დაკრძალვის ხარჯები	3000	01.01.2016 - 31.12.2016	30	100
10.	ომი ვეტერანის დაკრძალვის ხარჯები	2000	01.01.2016 - 31.12.2016	8	250
11.	დახმარება ჩერნობილში მონაწილეთათვის	1600	01.04.2016	16	100
12.	სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია) სახლების შესაკეთებლად ერთჯერადი თანხით დახმარება	40000	01.01.2016 - 31.12.2016	30	500-დან 3000-მდე
13.	სამამულო ომის ვეტერანების დახმარება (9 მაისი)	1200	01.05.2016	8	150
მიჩნეულია, რომ ექსტრემალურად მაღალი ტემპერატურისადმი განსაკუთრებულად მოწყვლადი ქალაქის მოსახლეობაა, სადაც თავს იჩენს ე.წ. კუნძულის ეფექტი², რაც ნეგატიურად მოქმედებს ადგილობრივ მოსახლეობაზე: გარდა იმისა, რომ ზედმეტად გამთბარი ჰაერი ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე და ზრდის კლიმატ-დამოკიდებული დაავადებებისა და მათგან გამოწვეული სიკვდილიანობის რისკს, მოსახლეობას დამატებითი ეკონომიკური დანახარჯები უჩნდებათ, რათა გაუმკლავდნენ სიცხეს, მაგ. კონდიციონერების გამოყენებით. ამგვარად, მუნიციპალიტეტის იმ დასახლებულ პუნქტებში სადაც შესაძლებელია კუნძულის ეფექტის შექმნა მოსახლეობა უფრო მოწყვლადია.

ხოზის მუნიციპალიტეტის სოციალური მდგომარეობა (2015), ზოგადად და ასევე სქესის მიხედვით, ხასიათდება:

ა) სოციო-დემოგრაფიულ ინდიკატორის მიხედვით:

ა.ა) ხოზის მუნიციპალიტეტში 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის რიცხვი 6,400-ს შეადგენს, რაც მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის 21.0%-ს შეადგენს. მთლიანი მოსახლეობიდან 65 წელს გადაცილებული 1,986 მამაკაცია, ხოლო 4,414 - ქალი. შესაბამისად, მამაკაცთა ხვედრითი წილი მუნიციპალიტეტის საერთო პოპულაციაში არის 6.5%, ქალების კი -14.5%.

ბ) სოციო-ეკონომიკური ინდიკატორის მიხედვით:

ბ.ბ) ხოზში საარსებო შემწეობის მიმღებთა რიცხვი არის 1,993, რაც მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის 6.5%-ს შეადგენს. მთლიანი მოსახლეობიდან შემწეობის მიმღებ მამაკაცთა რაოდენობა 953, ხოლო ქალების - 1,040-ია. შესაბამისად, მათი ხვედრითი წილი მუნიციპალიტეტის საერთო პოპულაციაში არის 3.1% და 3.4%.

კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შესაფასებლად ზემოთ მოცემული მგრძობიარობის ინდიკატორები შედარებულ იქნა კლიმატის ცვლილების გამოვლენის ინდიკატორებთან: საბაზო წლებისთვის (1960-1990 წწ.) ექსტრემალური ტემპერატურის საშუალო მნიშვნელობა (მაქსიმალური) და ცხელი

დღეების (+25°C-ზე მაღალი) საშუალო რაოდენობა, ხოლო სამომავლო პროგნოზისთვის ექსტრემალური ტემპერატურის საშუალო მნიშვნელობისა და ცხელი დღეების რაოდენობის ცვლილება საბაზო მაჩვენებლებთან 2021-2050 და 2071-2100 წლებისთვის.

კლიმატის ცვლილების 1960-1990 წლების შესაბამისი მაჩვენებლები სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით მაღალია. სენსიტიურობის კოეფიციენტების მნიშვნელობა კი საშუალოა. საბოლოო ჯამში ხობი საშუალოზე მაღალი მოწყვლადობის მუნიციპალიტეტად შეიძლება შეფასდეს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მოწყვლად ჯგუფში ქალთა რაოდენობა უფრო მაღალია და ამდენად, სოციალურ სექტორში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის ღონისძიებების დაგეგმვისა და გატარების დროს გენდერულ ასპექტებს მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს.

8.2. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პერსპექტივები

პროგნოზის მიხედვით 2021-2050 წლებში ექსტრემალური ტემპერატურის საშუალო მნიშვნელობა და ზაფხულის ცხელი დღეების რაოდენობა იზრდება, კიდევ უფრო მეტი ინტენსიურობით - 2071-2100 წლებში და შესაბამისად, სამომავლოდ მუნიციპალიტეტი ინარჩუნებს საშუალოზე მაღალი მოწყვლადობის სტატუსს.

თავი 3: კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური რისკების შესამცირებლად საჭირო ქმედებები და რეკომენდაციები

მუხლი 9. ტურიზმის სექტორი

კლიმატის ცვლილებების ტენდენციების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან ტურიზმის განვითარების მხარდაჭერის ძირითადი ამოცანებია:

ა) თანამშრომლობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და ტურისტულ კომპანიებთან საერთაშორისო და ადგილობრივი ტურიზმის განვითარებაში. მუნიციპალიტეტში ტურიზმის პერსპექტიული მიმართულებებია: ეკოლოგიური, ეთნოგრაფიული, მხარეთმცოდნეობითი, გასტრონომიული, აგრო და სასოფლო ტურიზმი;

ბ) ტურისტული საქმიანობით დაკავებული კომპანიების, კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და ინდემწარმეების ხელშეწყობა ტურისტების მოზიდვასა და მომსახურებაში: ინფორმირება, განთავსება (სასტუმროები, სასტუმრო სახლები და ა. შ.), საზოგადოებრივი მომსახურება, ვაჭრობა, ეკოლოგიური პროექტების და საექსკურსიო მარშრუტების ორგანიზება და მომსახურება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვა;

გ) სხვადასხვა ღონისძიებების (ფესტივალების, დღესასწაულების და ა. შ.) ინიცირება შემოდგომის, გაზაფხულისა და ზამთრის, პერიოდში ვიზიტორების მოსაზიდად;

დ) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს და კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელი სხვა ორგანოების დახმარება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის (მათ შორის კლიმატის

ცვლილებების ზემოქმედებისაგან) და მოვლის საქმეში: ავთენტურობის შენარჩუნება, სანაცია, რესტავრაცია და სხვა;

ე) თანამშრომლობა დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან კოლხეთის ეროვნული პარკის ეკოტურისტულ განვითარებაში: თემატური პროექტების განხორციელება, მეცნიერული კვლევა, ბიომრავალფეროვნების დაცვა, ვიზიტორების განთავსება, საზოგადოება, ვაჭრობა, საექსკურსიო მარშრუტების ორგანიზება და მომსახურება;

ვ) მუნიციპალიტეტის საერთო ინფრასტრუქტურის (გზები, ენერჯო და წყალმომარაგების სისტემა, სანიაღვრე არხები, საკომუნიკაციო სისტემა, ინტერნეტი და სხვ) გაუმჯობესება;

ზ) ტემპერატურის საერთო მატებასთან ადაპტაცია - ტურისტული სეზონის პიკზე ტემპერატურის მატებით გამოწვეული დანაკარგების კომპენსირება სეზონის გახანგრძლივებით, ძირითადად გაზაფხულის, ადრეული ზაფხულისა და შემოდგომის ხარჯზე;

თ) ბუნებრივი კატასტროფების მაღალი რისკის ქვეშ მყოფ ზონებში (მდინარეთა ჭალებში, ხევებში, მეწყრულ უბნებზე) ტურისტული ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობის ნებართვის შეზღუდვა, უკვე შექმნილი ობიექტების დაცვა. იხილეთ ასევე - ბუნებრივი კატასტროფების თავი და მუნიციპალიტეტის რუკა;

ი) ტურისტული კომპანიებისა და ტურიზმში მომუშავე კერძო პირების დახმარება კლიმატის ცვლილებებისგან გამოწვეული ნეგატიური შედეგების პრევენციაში და მათგან გამოწვეული ზარალის შემცირებაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია: ბუნებრივი საფრთხეების წინასწარი შეტყობინებისა და უსაფრთხოების სამსახურების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

კ) მეწარმეების ინფორმირება დაზღვევის მნიშვნელობისა და საშუალებების შესახებ.

მუხლი 10. სოფლის მეურნეობის სექტორი

10.1 სამელიორაციო ინფრასტრუქტურა

ა) სადრენაჟო სისტემების სრული რეაბილიტაცია;

ბ) დაშრობილი (29,840 ჰა) მიწების მაქსიმალური ათვისება 2050 წლამდე;

გ) აუცილებლობის შემთხვევაში ორმაგი ქმედების (ირიგაცია – დრენაჟის) ან ლოკალური სარწყავი სისტემების მოწყობა;

დ) აუცილებლობის შემთხვევაში რწყვა უნდა ჩატარდეს რწყვის თანამედროვე მეთოდებისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვითა და ოპტიმალური ნორმების დაცვით..

10.2 მიწის რესურსები

ა) სახნავ ფართობებზე აუცილებელია ნიადაგის დამუშავება ეროზიის საწინააღმდეგო აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით (ხვნა და სარწყავი კვლების გაყვანა ძირითადი ქანობის პერპენდიკულარულად), დანარჩენ ფართობზე – მცენარეული, მათ შორის ბალახოვანი საფარის შენარჩუნება;

ბ) ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენება ოპტიმალური, რაციონალური დოზით.

10.3 ტყის საფარი

- ა) ტყეების ინვენტარიზაცია;
- ბ) სანერგე მეურნეობის მოწყობა;
- გ) ტყის ფართობის და პროდუქტიულობის გაზრდა;
- დ) ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებების მონიტორინგი და პრევენცია.

მუხლი 11. მრეწველობა

ა) კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ზამთარში დასაქმებულთათვის, განსაკუთრებით სავსე სამუშაოების დროს, უნდა მოხდეს ყინვაგამძლე სამუშაო ტანსაცმლით უზრუნველყოფა, ხოლო ზაფხულის ცხელ დღეებში, კერძოდ +360C-ზე გარე სამუშაოები სასურველია ჩატარდეს დღის მეორე ნახევარში, ან ღამის საათებში. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება სამუშაო საათების ცვლილება, უნდა მოხდეს სამუშაო ადგილის შესაბამისი მოწყობა, მაგალითად, მზისგან დასაცავად ადგილზე მოეწყოს საჩრდილობელი ტენტი, მოხდეს სამშენებლო ობიექტის სასმელი წყლით მომარაგება და ა.შ.;

ბ) იმისათვის, რომ მომავალში ადვილად მოხერხდეს ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული საწარმოო ზარალის დათვლა, რაც პირდაპირ აისახება ცვლილების სახით ეკონომიკური სუბიექტის მოგებაზე და წარმოებული პროდუქციის ერთეულის ფასზე, საჭიროა დეტალურად აღირიცხოს და შეფასდეს დამამუშავებელ მრეწველობაში გამოყენებული საწარმოო ინფრასტრუქტურა. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა აღიწეროს მდინარის კალაპოტში ან/და მეწყერსაშიშ ზონაში მოქცეული წარმოებები;

გ) ასევე, აუცილებელია ხელმისაწვდომი გახდეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული საწარმოების ზუსტი მდებარეობის შესახებ. საწარმოების კოორდინატები, რისკის/პოტენციალის შესაფასებლად, სასურველია გადატანილ იქნეს შესაბამის გეოინფორმაციულ რუკებზე;

დ) კლიმატის ცვლილებამ შესაძლებელია შეაფერხოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების ეფექტური მუშაობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ წარმოების პროცესში გამოყენებულია ადგილობრივი ნედლეული (იხ. სოფლის მეურნეობის სექტორში აღწერილი პოტენციური რისკები და რეკომენდაციები);

ე) ყოველი ახალი საწარმოს შექმნისას, რისკების თავიდან ასაცილებლად, საწარმოო ობიექტის მდებარეობა რეკომენდირებულია განისაზღვროს ზემოაღნიშნულ რუკასთან შესაბამისობაში. აღნიშნული ინფორმაცია მუნიციპალიტეტს დაეხმარება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ეკონომიკური ზიანის გამოთვლაში და მომავალში ეკონომიკური აქტივობების სწორად დაგეგმვაში;

ვ) მუნიციპალიტეტმა სასურველია ითანამშრომლოს კერძო სექტორთან და ცენტრალურ ხელისუფლებასთან:

ვ.ა) საწარმოებში უსაფრთხოების ნორმების დაცვისთვის და შესაბამისი ფინანსური თუ სხვა დაცვის მექანიზმების შემუშავება/დანერგვისთვის, ასევე

ვ.ბ) კლიმატური რისკების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთვის სამრეწველო სექტორში. ინფორმაცია უნდა შედგებოდეს რისკების აცილებისა და ამ რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალის შესამცირებელი ღონისძიებებისგან;

ზ) გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში მუნიციპალიტეტების მიხედვით საწარმოების შესახებ ინფორმაცია მწირია, გამწვანებული იქნება მათზე კლიმატის ცვლილებისგან გამოწვეული შედეგების გათვლა. რეკომენდირებულია, რომ მუნიციპალიტეტისა და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისმა სტრუქტურებმა (საქსტატის ჩათვლით) აწარმოონ საწარმოო ობიექტების სტატისტიკური აღწერა, შემდეგი მონაცემების გათვალისწინებით:

ზ.ა) ზემოაღნიშნულ სამრეწველო სექტორებში დასაქმებულთა რაოდენობა;

ზ.ბ) ამავე სექტორებში დასაქმებულთა აღრიცხვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით;

ზ.გ) ასევე, არსებული დიდი და მცირე საწარმოების ჩამონათვალი უნდა შეიცავდეს საწარმოთა კოორდინატებს;

თ) ზუსტი სტატისტიკური მონაცემების არსებობა საშუალებას მოგვცემს შესაბამისი დაგეგმვის დროს თავიდან ავიცილოთ კლიმატის ცვლილების პოტენციური რისკები (ადგილობრივი სოფლის მეურნეობის ნედლეულის შემცირება, ენერჯო რესურსების შესაძლო დეფიციტი, ბუნებრივი კატასტროფების გახშირებით გამოწვეული ზარალი და ადამიანების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ზიანი) საწარმოო სექტორზე;

ი) საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, მუნიციპალიტეტში შესაბამისი სექტორების კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენის მიმართ მდგრადობის გასაზრდელად.

მუხლი 12. ენერგეტიკის სექტორი

12.1 მოკლევადიანი (5 წელი)

ა) კლიმატის ცვლილების ენერჯის მოხმარებაზე გავლენის და მისი მასშტაბის უკეთესი შეფასებისთვის, ჩასატარებელია მოხმარების სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი. ამისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი სტატისტიკა, თუ როგორი სახლება მუნიციპალიტეტში, მათი ენერგოეფექტურობის დონე, რა ტექნოლოგიებს იყენებს მოსახლეობა და კომერციული სექტორი გაგრილებისათვის და გათბობისთვის, რა წყაროებით თბება მოსახლეობა და რამდენია თითოეული ტიპის ენერჯორესურსის მოხმარება. ასევე, უნდა შეგროვდეს ინფორმაცია კონკრეტული მუნიციპალიტეტის ენერჯის მოხმარებაზე. სტატისტიკური მონაცემების შეგროვების და ანალიზის მეთოდოლოგიის შემუშავებისათვის სასარგებლოა თანამშრომლობა საქსტატთან და სხვა შესაბამის სტრუქტურებთან. შეგროვებული მონაცემების ინტეგრაცია შეიძლება ეროვნული ენერგეტიკის სტატისტიკასთან. აღნიშნული მონაცემები აგრეთვე გამოყენებულ იქნება მიზანმიმართული ენერგოეფექტურობის (ენერჯის დაზოგვის) პოლიტიკის შემუშავებისათვის;

ბ) აუცილებელია ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა, განსაკუთრებით საყოფაცხოვრებო სექტორში სადაც ყველაზე დიდია ენერგოეფექტურობის პოტენციალი. საჭიროა პილოტური პროექტების განხორციელება სადაც მოხდება ენერგოეფექტური ქმედებების სარგებლის დემონსტრირება და პოპულარიზაცია. ასევე, საჭიროა საინფორმაციო კამპანიები მოსახლეობაში ენერგოეფექტურობის შესახებ ცნობიერების დონის ასამაღლებლად. ენერგოეფექტურობის ფინანსური ხელშეწყობისათვის შეიძლება იქნას შემუშავებული სახლის დათბუნების

თანადაფინანსების მექანიზმები, ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისთვის იაფი საკრედიტო ხაზები და ა.შ. დონორთა დაფინანსების მოსაძიებლად საჭიროა თანამშრომლობა ენერგეტიკის სამინისტროსთან და მერების შეთანხმების ინიციატივის ხელმძღვანელ ქალაქ ზუგდიდის ადმინისტრაციასთან, რომელსაც შემუშავებული აქვს ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა.

12.2 საშუალოვადიანი (2021-2050 წწ.)

შუალედური პერიოდისათვის კლიმატის ცვლილების გავლენა ენერჯის მოხმარებაზე არის ზომიერად მაღალი, თუმცა შემდგომ კიდე უფრო გაზრდილ გავლენასთან (2100 წლისთვის) ადაპტაციის მიზნით უკვე შუალედური პერიოდისათვის ექსპლუატაციაში უნდა იყოს ენერგოეფექტური შენობა-ნაგებობები და მოხმარების ტექნოლოგიები. მიზანშეწონილია სახურავების დათბუნება იმისათვის, რომ შემცირდეს მოხმარებული ენერჯია. სასურველია ასევე ახალი მშენებლობების მონიტორინგი და ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავება, რომ მოხდეს არსებული სახლების სახურავების დათბუნება. ამისათვის, მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, კერძოდ, სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტთან. ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა კლიმატური ფონდების ფინანსური დახმარების მოძიება.

12.3.გრძელვადიანი (2071-2100 წწ.)

კლიმატური პროგნოზის მიხედვით გრძელვადიან პერსპექტივაში კლიმატის ცვლილებას ექნება საკმაოდ მაღალი გავლენა ენერჯის მოხმარებაზე. იმისათვის, რომ შემცირდეს ენერჯის მოხმარება გაგრილებაზე, ენერგოეფექტურობის გაზრდასთან ერთად, უნდა მოხდეს განახლებადი მოხმარების ტექნოლოგიების ფართო გამოყენება, როგორცაა მაგალითად, მიწის თბური ტუმბო, მზის ენერჯის გამოყენება, ასევე, მწვანე სახურავები და ენერგოეფექტური სახლების მშენებლობა, რათა მინიმუმამდე დავიდეს გაგრილების მოთხოვნა და შესაბამისად - ენერჯის მოხმარება. ენერგოეფექტური მშენებლობა ასევე ხელს შეუწყობს გათბობაზე დახარჯულ ენერჯის კიდე უფრო შემცირებას და ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდას.

მუხლი 13. ინფრასტრუქტურა და ბუნებრივი კატასტროფები

მუნიციპალიტეტში სტიქიასთან მიმართებაში ყურადღება უნდა იქნეს მიმართული მდინარეებში წყალდიდობა-წყალმოვარდნებით გამოწვეული საშიშროების შემსუბუქებაზე, რადგან მათგან გამოწვეული რისკი მატულობს მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მდ. რიონის აუზში არსებული წყალსაცავების არასწორ ექსპლუატაციას, ან არსებული მიწაყრილის დამბების გარღვევას, როგორცაც ადგილი ჰქონდა 1982, 1987 და 1996 წლებში. მაგალითად, 1987 წ. წყალდიდობების შედეგად მდინარემ სოფელ საგვიჩიოსთან 1კმ. სიგრძეზე გაარღვია დამბა, რასაც მოჰყვა დიდი ნგრევა და ზარალი. ამიტომ, პირველ ყოვლისა, აუცილებელია არსებული ნაპირდამცავი დამბების წესრიგში მოყვანა-რეაბილიტაცია და მუდმივი მონიტორინგი იმ უწყების მიერ, ვისაც აღნიშნული ევალება. მდინარის იმ უბნებზე, სადაც მიმდინარეობს მიწების ინტენსიური

ეროზია საჭიროა დეტალური რუკის შედგენა და შესაბამისი დაცვითი ღონისძიებების შემუშავება:

ა) მეწყრებით გამოწვეულ საშიშროებას ნოჯიხევის, ძველი ხიბულას და ბიას სოფლების ტერიტორიაზე მეწყრული პროცესების აქტიურობის შესამცირებლად საჭიროა პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება;

ბ) ზედაპირული წყლების რეგულირებით და ბიო-საინჟინრო ღონისძიებებით;

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გრუნტის დაწვევის პროცესებით სხვადასხვა ხარისხის დეფორმაციას განიცდიან სოფელ ხეთის "კორცხოს" და "მთავარანგელოზის" ეკლესიები და ხობის საეკლესიო კომპლექსი (საპატრიარქოს რეზიდენცია).

მუხლი 14. სოციალური სექტორი

14.1 მოკლევადიან პერსპექტივაში (5 წელი) რეკომენდებულია შემდეგი საადაპტაციო ღონისძიებების გატარება:

ა) მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში თბური ტალღებისგან დასაცავი ღონისძიებების დაგეგმვა, რომლებიც ძირითადად მოწყვლადი ჯგუფებისკენ იქნება მიმართული. ამჟამად, მიმდინარეობს თბური ტალღების საწინააღმდეგო სამოქმედო გეგმის შემუშავება თბილისისთვის³ და თბილისის მუნიციპალიტეტს, რომელიც ჩართულია გეგმის შემუშავებაში, შეუძლია გამოცდილება და ცოდნა გაუზიაროს ხობის ადგილობრივ მთავრობას. ცალკე გეგმის შემუშავება მუნიციპალიტეტისთვის აუცილებელი არ არის, რადგანაც იგეგმება ეროვნული გეგმის შემუშავება და განხორციელება;

ბ) მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების ინფორმირება კლიმატის ცვლილებისა და მასთან შეგუების სხვადასხვა მეთოდების შესახებ. მაგალითად, მომრავლებული ბუნებრივი კატასტროფების, თბური ტალღების პირობებში ქცევის წესების შესახებ. გასათვალისწინებელია, რომ ქალები, ბავშვები და მოხუცები მეტად მოწყვლადები არიან და მათდამი განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა აუცილებელია;

გ) კლიმატის ცვლილებისადმი და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობის შესამცირებლად რეკომენდებულია სოციალური და ეკონომიკური ხასიათის ქმედებების გატარება: საარსებო შემწეობის მოცულების გაზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა და სხვა. გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა იმუშაონ სხვადასხვა სოციალური დაცვის მექანიზმების (კერძო, სახელმწიფო თუ მუნიციპალური) შემუშავება/დანერგვაზე, მაგალითად, ისეთი სოციალური დაცვის მექანიზმების, როგორებიცაა: დაზღვევა, პენსია, თუ შემწეობა;

დ) მუნიციპალური თუ ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი სამსახურების (სასწრაფო დახმარება, საავადმყოფოები, სოციალური მომსახურების სააგენტო, სამაშველო სამსახურები და ა.შ.) ფუნქციონირების გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების გამოწვევებისადმი უკეთეს მზადებასა და ადაპტაციას.

14.2 საშუალოვადიან (2021-2050წწ.) და გრძელვადიან (2071-2100წწ.) პერსპექტივაში რეკომენდებულია შემდეგი საადაპტაციო ღონისძიებების გატარება:

ა) თბური ტალღების საწინააღმდეგო ეროვნული გეგმის იმპლემენტაცია. რადგან სამოქმედო გეგმის შემუშავება იგეგმება ეროვნულ დონეზე, სასურველია აღნიშნული გეგმა ადაპტირებულ იქნას ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ბ) ბუნებრივი კატასტროფების მიმართ სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისთვის საადაპტაციო ღონისძიებების გატარება ;

გ) ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება, იმგვარად, რომ სოციალურად მოწყვლადი ჯგუფები, განსაკუთრებით კი კლიმატ-დამოკიდებული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი სისტემის პათოლოგიები, ინფექციური დაავადებები) მქონენი, ასევე მოხუცები, ქრონიკულად დაავადებული პირები, მცირე ასაკის ბავშვები, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ჯგუფები უკეთ იყვნენ დაცულნი.

თავი III

კონცეფციის შეფასების ფურცელი

კონცეფციაში მითითებული რომელიმე ქმედების განხორციელების შემდეგ ცხრილში შეივსება რა ქმედება განხორციელდა, მოხდება მისი ეფექტიანობის შეფასება და აღინიშნება რა დარჩა განსახორციელებელი.

სექტორი/რეკომენდაცია	განხორციელებული ქმედება	განხორციელებული ქმედების შეფასება	სამომავლო გეგმა
ტურიზმი	1		
	2		
წარმოება	1		
	2		
სოფლის მეურნეობა	1		
	2		
ენერგეტიკა	1		
	2		
ბუნებრივი კატასტროფები	1		
	2		
სოციალური სექტორი	1		
	2		



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N37

2016 წლის 17 ივნისი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კობა კაკულიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ცნობილ იქნეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგად, ყულევის თემის N66.17 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კობა კაკულიას უფლებამოსილება.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N38

2016 წლის 17 ივნისი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-6 და მე-8 ნაწილების, 46-ე მუხლისა და „საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 3 ივნისის №03/06/02 განკარგულების შესაბამისად:

1. საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიებისთვის გამოიყოს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები:

ა) ქ. ხობში:

ა.ა) ხობის კულტურის სახლი;

ა.ბ) ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკა;

ბ) ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფელ ზუბის კლუბის შენობა;

გ) ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

დ) ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ე) თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ვ) ქვემო ქვალონის თემში - ქვემო ქვალონის კულტურის სახლი;

ზ) შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

თ) ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ი) ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

კ) საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ლ) ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა.

2. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების გარე იერსახის დამახინჯებისა და საარჩევნო ატრიბუტიკის (პლაკატები, ლოზუნგები და სხვა) შეუფერებელ ადგილებში განთავსების აღკვეთის მიზნით, ქ. ხობის ტერიტორიაზე

შექმნილ საარჩევნო უბნებში საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატები განთავსდეს სპეციალურად მოწყობილ სტენდებზე:

ა) N66.01 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე - ცოტნე დადიანის ქუჩაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებასთან და დავით აღმაშენებლის ქუჩაზე კოსტავას ქუჩის გადაკვეთასთან;

ბ) N66.02 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე - ცოტნე დადიანის ქუჩაზე რესტორან „ღიმილთან“ და ცოტნე დადიანის ქუჩაზე გოგებაშვილის ქუჩის გადაკვეთასთან;

გ) N66.03 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე - ჭყონდიდელის ქუჩის დასაწყისში, 9 აპრილის ხეივანთან და ჭყონდიდელისა და 26 მაისის ქუჩების გადაკვეთაზე;

დ) N66.28 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე - ცოტნე დადიანის ქუჩაზე კოლხეთის დასახლების შესახვევთან და სტალინის ქუჩაზე რუსთაველის ქუჩის გადაკვეთასთან.

3. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ საარჩევნო უბნებში საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განსათავსებლად გამოყენებულ იქნეს იქ მდებარე გარე განათების ბოძები, მგზავრთა მოსაცდელები და ნებისმიერი შენობა-ნაგებობა, გარდა კანონმდებლობით აკრძალულისა.

4. აიკრძალოს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განთავსება საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოს და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

5. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას (გ. ქაჯაია):

ა) საარჩევნო პლაკატების გამოსაფენად განთავსებული სტენდების მოწესრიგება;

ბ) ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება წინასაარჩევნო აგიტაციის, წინასაარჩევნო მოწოდებებისა და მასალების (მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო, სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებები) გავრცელებაზე, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებაზე, სხვა წინასაარჩევნო საქმიანობებთან დაკავშირებით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე და უზრუნველყოს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი სამართალდარღვევის ფაქტზე საჭირო საჩუქების გამოყენება.

6. ეთხოვოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხობის რაიონულ სამმართველოს (ი. შენგელია) წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ამ განკარგულებით გათვალისწინებული წესების დარღვევის ფაქტების აღკვეთა.

7. დაევალოს საკრებულოს აპარატს (ლ. შამათავა) საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების უზრუნველყოფა არჩევნების დანიშნიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

8. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

9. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N39

2016 წლის 30 ივნისი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტისა და „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების 12 კვ.მეტრი ფართი, რომელიც მდებარეობს ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საყოფაცხოვრებო შენობის მე-2 სართულზე სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.
2. დაევალოს გამგებას აღნიშნული ფართი გასცეს დროებით სარგებლობაში იჯარის ფორმით აუქციონის წესით. (დანართი თან ერთვის)
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა

ხოზის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული
სარგებლობის უფლებით გადასაცემი ქონება

	მისამართი	სართული	გასაიჯარებელი ფართი კვ.მ	1 კვ.მ ფართის ღირებულება (ლარი)	გასხვისების ვადა (წელი)	იჯარის ქირის განაკვეთი %	საიჯარო ქირა საშ. თვეში (ლარი)	ბე 10%	ბიჯი 10%	ბილეთის ღირებულება
1	ჭალადიდის ყოფილი ადმინისტრაციული შენობა	II	12	82	3	30	24.60	2.5	2.5	20



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N40

2016 წლის 30 ივნისი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხა თანახმად დანართისა.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული
კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში
(მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა

ხოზის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების საპრივატიზებო ნუსხა

დანართი

დასახელება	გამოშვების წელი	სახელმწიფო ნომერი	მარკა	საბალანსო ღირებულება	ნარჩენი ღირებულება	აუდიტორიული შეფასება	ბე 10%	ბიჯი 10%	ბილეთის ღირებულება
1 სატვირთო-ბორტიანი	1988	SD-681-DS	ZIL-131	1890	-	1200	120	120	20
2 სატვირთო-თვითმცლელი	1989	SD-682-DS	SAZ-3507	1672	-	500	50	50	20
3 საფეხბურთო-მოედნის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი მასალები (ჯართი)	-	-	-	-	-	14000	1400	1400	20



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N41

2016 წლის 8 ივლისი

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 სექტემბრის N69 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი და მე-3 პუნქტებისა და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 სექტემბრის N69 განკარგულება.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს 2016 წლის 1 აგვისტოდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N42
2016 წლის 8 ივლისი
ქ. ხობი**



**„საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებისა

**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრებისა
და საკრებულოს აპარატისთვის განსაზღვრული საწვავის ხარჯების ლიმიტი**

N	მხარჯავი სუბიექტების დასახელება	ლიმიტი თვეში (ლიტრი)		ლიმიტი წელიწადში (ლიტრი)	
		ბენზინი	დიზელი	ბენზინი	დიზელი
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	-	750	-	9000
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე		170		2040
3.	სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	80	-	960	-
4.	იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე	80	-	960	-
5.	საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე	80	-	960	-
6.	სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	80	-	960	-
7.	ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	-	80	-	960
8.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	80	-	960	-
9.	საკრებულოს აპარატის უფროსი	220	-	2640	-
10.	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	30	-	360	-“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს 2016 წლის 1 აგვისტოდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N43

2016 წლის 8 ივლისი

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

2. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N46 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ნუგზარი შუშანია
2. თენგიზ აბაკელია
3. თემურ გულუა
4. ბეჟანი ქირია
5. მერაბ ფილიპია
6. შადიმან ჭილაია
7. ედიშერ წურწუშია
8. კობა კაკულია“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N44

2016 წლის 8 ივლისი

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

3. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N48 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ლაშა ცატავა
2. როსტევეან გვარამია
3. როლანდ სერგია
4. ვასილ კუკავა
5. მერაბ ფილიპია
6. კობა კაკულია.“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N45

2016 წლის 5 აგვისტო

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის, „დ.გ“ და „დ.დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანახმად N1, N2 და N3 დანართებისა.

2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას, განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა

ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარგებლობის უფლებით გადასაცემი ქონება

	დასახელება	მისამართი	ფართი კვმ	სარგებლობის ფორმა	ორგანიზაცია რომელსაც გადაეცემა ქონება	სარგებლობის ვადა	საკადასტრო კოდი
1	სტადიონი	ქ. ხოზი სპორტის ქუჩა	7160	უზუფრუქტი	ხოზის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“	არსებობის ვადით	45.21.25.075
2	სტადიონი	ქ. ხოზი სპორტის ქუჩა	805	უზუფრუქტი	ხოზის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“	არსებობის ვადით	45.21.25.083
3	სტადიონი	ქ. ხოზი სპორტის ქუჩა	7160	უზუფრუქტი	ხოზის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“	არსებობის ვადით	45.21.25.081
4	სტადიონი	ქ. ხოზი სპორტის ქუჩა	805	უზუფრუქტი	ხოზის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“	არსებობის ვადით	45.21.25.076

ხოზის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სარგებლობის (იჯარის) უფლებით გადასაცემი ქონება

N	მისამართი	სართული	გასაიჯარებელი ფართი კვ.მ	1 კვ.მ ფართის ღირებულება (ლარი)	გასხვისების ვადა (წელი)	იჯარის ქირის განაკვეთი %	საიჯარო ქირა საშუალო თვეში (ლარი)	ბე 10%	ბიჯი %	ბილეთის ღირებულება
1	ჭალადიდის ყოფილი ადმინისტრაციული შენობა	I	139,48	82	5	40	381,24	38,10	38,10	20

ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარგებლობის უფლებით გადასაცემი მოძრავი ქონება

N	დასახელება	ექსპლუატაციაში შევლის წელი	საწყისი საბალანსო ღირებულება	ნარჩენი ღირებულება	აუდიტორული შეფასება	სარგებლობის ვადა (წელი)	ორგანიზაცია რომელსაც გადაეცემა	სარგებლობის ფორმა
1	ავტომანქანა „ოპელ- ასტრა“	2009	4900	541	750	არსებობის ვადით	ხოზის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი	თხოვება
2	სატვირთო ავტომანქანა „გაზ 52-04“	1985	1231	-	800	არსებობის ვადით	ხოზის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი	თხოვება



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N46
2016 წლის 5 აგვისტო
ქ. ხობი**

**„საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №2
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებისა

ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის განსაზღვრული საწვავის ხარჯების ლიმიტი

N	მხარჯავი სუბიექტების დასახელება	ლიმიტი თვეში (ლიტრი)		ლიმიტი წელიწადში (ლიტრი)	
		ბენზინი	დიზელი	ბენზინი	დიზელი
14.	გამგებელი	1000	-	12000	-
15.	გამგებლის პირველი მოადგილე	-	300	-	3600
16.	გამგებლის მოადგილე	300	-	3600	-
17.	გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური	200	-	2400	-
18.	გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური	400	-	4800	-
19.	გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახური	150	-	1800	-
20.	გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	50	-	600	-
21.	გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური	50	-	600	-

22.	გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური	150	-	1800	-
23.	გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური	-	390	-	4680
24.	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი	-	150	-	1800
25.	გამგებელთან არსებული, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია	80	-	960	-
26.	გამგებლის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში	50	-	600	-
27.	ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობა (საზოგადოებრივი ცენტრის ელექტრომომარაგება დიზელის გენერატორით)	-	45	-	540“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N47

2016 წლის 5 აგვისტო

ქ. ხობი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის №52 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული წესდების:

ა) მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ¹“ ქვეპუნქტი:

„რ¹) მოქალაქეთათვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის შესასწავლად თეორიული და პრაქტიკული კურსის ჩატარება;“;

ბ) მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) ავტოსკოლა.“;

გ) მე-8 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) სასწავლო პროცესის შედეგად მიღებული შემოსავლები.“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N48

2016 წლის 5 აგვისტო

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის N38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის N38 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2¹. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება მიეცეს გააკრას არაუმეტეს 3 (სამი) ცალი საარჩევნო პლაკატი, ზომით არა უმეტეს სიგრძე 60 სმ, სიგანე 42 სმ (A2 ფორმატი).“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N49

2016 წლის 28 სექტემბერი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.დ.“ ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე, თანახმად დანართისა.

2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა

ხოზის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სარგებლობის უფლებით გადასაცემი ქონება

N	მისამართი	სართული	გასაიჯარებელი ფართი კვ.მ	1 კვ.მ ფართის ღირებულება (ლარი)	გასხვისების ვადა (წელი)	იჯარის ქირის განაკვეთი %	საიჯარო ქირა თვეში (ლარი)
1	ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. 189 (ადმინისტრაციული შენობა)	I	41	122.90	5	20	84
2	ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. 189 (ადმინისტრაციული შენობა)	I	50	122.90	5	20	102



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N50

2016 წლის 28 სექტემბერი

ქ. ხობი

**ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, „დ“ პუნქტის, „დ.ი“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ე“ პუნქტის, „ე.დ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა

ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

N	ქონების დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	სავარაუდო წონა (კგ)	აუდიტორული შეფასება (ლარი)	ბიჯი %	„ბე“	შენიშვნა
1	ჭალადიდის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რემონტის შედეგად მიღებული მეორადი მოთუთიებული ფურცლოვანა (ჯართი)	-	375	130	13	13	საბალანსო ღირებულება არ გააჩნია
2	ალუმინის კარი (ჯართი)	-	25	50	5	5	საბალანსო ღირებულება არ გააჩნია



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N51

2016 წლის 28 სექტემბერი

ქ. ხობი

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 აგვისტოს N47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 აგვისტოს N47 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ¹“ ქვეპუნქტი:

„რ¹) მოქალაქეთათვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის შესასწავლად თეორიული და პრაქტიკული კურსის ჩატარება;“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N52

2016 წლის 27 ოქტომბერი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106¹ მუხლის მე-6 ნაწილის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლის შესაბამისად:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 10 ივლისის N49 განკარგულების მე-2 პუნქტი და მის საფუძველზე დამტკიცებული დანართი (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ წესდება);

ბ) „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის N50 განკარგულების მე-2 პუნქტი და მის საფუძველზე დამტკიცებული დანართი (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ წესდება);

გ) „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის N52 განკარგულების მე-2 პუნქტი და მის საფუძველზე დამტკიცებული დანართი (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ წესდება);

დ) „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 23 აგვისტოს N54 განკარგულების მე-2 პუნქტი და მის საფუძველზე დამტკიცებული დანართი (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხოზის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ წესდება).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს 1 ნოემბრიდან.

3. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს, 2016 წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველყოს ხობის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებების დამტკიცების მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის

გამგებლის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N53

2016 წლის 22 ნოემბერი

ქ. ხობი

„ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ რეგისტრაციის შესახებ“

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N42

განკარგულებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების 32-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად:

1. „ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ რეგისტრაციის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N42 განკარგულების პირველ და მეორე პუნქტებში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რეგისტრირებულ იქნეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თავისუფალი მოქალაქეები“.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „თავისუფალი მოქალაქეების“ თავმჯდომარის მალხაზ ლავგილავას თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.“

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N54

2016 წლის 22 ნოემბერი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართვებლობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის წესით, გადაცემაზე თანახმად დანართისა.

2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას, განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერ ჯობავა

დანართი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის წესით) გადასაცემი ქონების ნუსხა

	დასახელება	მისამართი	ფართი კვ.მ	სარგებლობის ფორმა	ორგანიზაცია რომელსაც გადაეცემა ქონება	სარგებლობის ვადა	საკადასტრო კოდი
1	ადმინისტრაციული შენობა	ქვემო ქვალონი	366,5	უზუფრუქტი	ხოზის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება	არსებობის ვადით	45.14.26.021
2	ადმინისტრაციული შენობა	ბია	616	უზუფრუქტი	ხოზის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება	არსებობის ვადით	45.03.03.401
